ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი!

დროება

№12 ორშაბათი, 5 თებერვალი 1990წ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს, ლესელიძის სახელობის სპეციალიზირებული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა

მიმართვა

ჩვენ ლესელიძის სახელობის სპეციალიზირებული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს გაგვაჩნია მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს გვიშლის ჩვენს-პიროვნულ, ეროვნულ და სრულფასოვან მომავალ სამხედრო ოფიცრებად ჩამოყალიბებაში.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველო ადგას სრული სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის გზას, მიღებულია ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი, იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლებელში მიმდინარეობს ქართული ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო პროპაგანდა, ხდება ელემენტარული ადამიანური უფლებების შელახვა და საერთოდ ვიმყოფებით კრიზისულ მდგომარეობაში-მოგმართავთ შემდეგი მოთხოვნებით:

I. გადავიდეს სკოლა-ინტერნატი მთლიანად ქართულ ენაზე. სწავლა-ტერმინოლოგია და მიმართვა გახდეს მთლიანად ქართული, სამხედრო საგნის სწავლების ჩათვლით.
2. დამატებით საგნად შემოღებული იქნეს ღვთის სჯულის სწავლება და შეწყდეს შევიწროება რელიგიური რწმენის გამო. (ჯვრის ტარების უფლების აკრძალვა).
3. შეწყდეს აღზრდის მახინჯი ფორმები: პიროვნების მორალური, ეროვნული და ეთიკური და ადამიანური თვისებების ჩაკვლა, რომლის მიზანია ერთიანი უსახო, ბრმა, მორჩილი მასის შექმნა, რაც საშუალებას იძლევა ისეთი არაეთიკური და ადამიანისმოძულე ფსიქოლოგიურად დამრთგუნველი წესის გატარებას, როგორიცაა პიროვნების შეცდომის ან დანაშაულის ჩადენის დროს, უდანაშაულოთა კოლექტიური დასჯა, რომლის მიზანია უსამართლოდ დასჯილთა გაბოროტება დამნაშავის ან დამნაშავეთა მიმართ, მეგობრობის გამტკიცების მაგივრად ერთმანეთში შუღლის და უნდობლობის ჩამოგდების მცდელობა და ჩვენს ხელოვნურად გათიშულობაზე დაყრდნობით კიდევ უფრო ძლიერად გატარება იმ პოლიტიკისა, რომლის საბოლოო მიზანია ჩვენში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბება და უსახო, პიროვნული ღირსების არმქონე მასის ჩამოყალიბება.
4. მთელი რიგი დისკრიმინაციული კანონების გატარება, ჩვენი გაუცხოება სწავლის, პროფესიისადმი, ოფიცერთა მიმართ და თვით ჩვენს შორისაც, შედეგია ჩვენი სრული უუფლებობისა და ნებისმიერი აზრის უგულველყოფისა, რომელმაც კრიზისამდე მიიყვანა ჩვენი სასწავლებელი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ოფიცრებმა უნდა ცნონ ჩვენი უფლებების დამცველი კომიტეტის უფლებამოსილება, რომელსაც ექნება უფლება წარადგინოს ჩვენი თხოვნა თუ მოსაზრება, რომლებიც დაგვეხმარება წარმატებით სწავლაში, მორალურ-ეთიკური ნორმების აღდგენაში და თვით დისციპლინის ვამტკიცებაში. ოფიცრების მხრიდან უნდობლობის პოლიტიკის მიტოვება, ჩვენდამი ნდობის აღდგენა და პიროვნული ღირსების დაცვა და ამაღლება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც სამხედროების მხრიდან არასწორად და მცდარად მიგვაჩნია, რადგან ვითომ დისციპლინის გამტკიცების ცრუ ნიღაბი აქვს აფარებული ოფიცრების მხრიდან საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა მათ შეიძლება მეტ ჯაფას მოუტანს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ სასწავლებლების ცხოვრება უფრო მეტი თავის შეწუხებით, ჩვენდამი მეტი ნდობის გამოხატვით, ჩვენში პიროვნების დანახვით და მის ჩამოყალიბება განვითარებისათვის ხელშეწყობით-თვისობრივად მაღალ საფეხურზე აგვიყვანს.
5. შეიქმნას საქართველოს ეროვნული სამხედრო აკადემია, რათა გვქონდეს საშუალება გავაგრძელოთ სწავლა და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ქართული არმიის შექმნაში.

მოწოდება

ბაბით მოსილო, მაგრამ ეროვნული ფიქრით გაზრდილო, ჩრდილოეთიდან მოფრენილი ძერასაგან კიდევ ერთხელ ნაძლავრებო, მაგრამ ვერ დაძლეულო, ვერ გატეხილო, ვერ დათრგუნვილო. შენ ახლო ხანში, მსოფლიო ღირსეულ ერთა გვერდით ღირსად სამყოფო, ქართველო ერო!

მგლოვიარე ხარ შენ დღეს, მაგრამ დამარცხებული არ ხარ, რამეთუ შენ სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნე! და ამაღლდი მსოფლიოს თვალში იმით, რომ ბოლოს და ბოლოს სიცრუის წინაშე ხმა აღიმაღლე. შენ ძმობა გსურდა რუსეთთან და არა მისი მონობა, შენ გსურდა მის გვერდით ღირსებით ყოფნა და არა მისგან გეჩავად ყოფნა, შენ გსურდა შენი მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი სულიერი კულტურით დაცული ყოფილიყავი რუსეთისაგან და არა განძარცვული და დამცირებული მისგან. შენ მრავალგზის დაუმტკიცე მას ერთგულება, მაგრამ მანვე შენი ერთგულება ყურმოჭრილი მსახურის ერთგულებად აქცია და, ვაი, რომ დღევანდელი შენი ყოველი სულიერი მონაპოვარი მსოფლიოსათვის რუსულად ითვლება. ვაი, მუსულმანთაგან მრავალგზის გუნაწამებო, ერთმორწმუნე რუსეთთან იმედით მისულო და ათასგზის მოტყუებულო!

მაგრამ, ვაი, შენს მტერს და მოძულეს, შენს მჩაგვრელს და მომლორებელს... იმედს კი არა რწმენას გისურვებ, რამეთუ მოდგა ჟამი, რომელმაც მსოფლიოს ახალი ცივილიზაციის სათავეებთან უნდა მიგვიყვანოს, რწმენას გისურვებ, რომ შენ გახდე მსოფლიოს ერთათვის წინამძღოლი ამ ნათელ გზაზე; შენი საბოლოო თვითდამკვიდრებით, რომელიც შენს დამოუკიდებლობას, შენს სახელმწიფოებრივ სამაგალითო მაღალ კულტურას ნიშნავს, რაც გამოიხატებოდეს იქნება უპირველესად ქართველის ქართველისადმი სიყვარულში, ნდობაში, ყოვლად კეთილი სიმაღლისათვის ხელის შეწყობაში, შენი მთლიანობის განმტკიცებისათვის ყოველდღიურ ზრუნვაში და შემდგომ აგრერიგ ამაღლებულისაგან მსოფლიო ხალხებზე კეთილად ფიქრში. შენ შეგიძლია ყოველივე ზემოთქმულის ქმნადა კეთება, რამეთუ შენში ოდითგან იყო და არის ღვთაებრივი პოტენცია, რომელმაც უნდა დაამტკიცოს შენი მესიანელობა, რამეთუ დამარხულ არს ყოველი საიდუმლო შენს ქართულ ენასა შინა.

9 აპრილის დილა, რომელმაც შენს მრავალრიცხოვან მოწამეებს კიდევ ერთხელ ღირსებით შესძინა წმინდა მოწამეები, დასაწყისი იყოს შენი კეთილად ამაღლებისა. ახალ მოწამეთა შორის არიან 16 წლის უბიწო ქალიშვილები - დარნი ღვთისმშობელი მარიამისა, რომელმაც ჩვენი ღმერთი იესო შვა, ხოლო იმ ქალიშვილთა უმანკო სისხლმა შობა ის ნათელი სხივი, რომელმაც შენ გამარჯვება უნდა მოგიტანოს და ამდენად, შენ არა გაქვს უფლება, არ მოუფრთხილდე და არ მოუარო და ჩააქრო იგი. მაშ, უკან დახევა შენთვის უკვე აღარ არსებობს, რამეთუ შენს უკან მხოლოდ უფსკრული არის. ოღონდ დიდი სიბრძნითა და გონიერებით, წინდახედულობით, მაღალი პოლიტიკური განათლებით, გამართლებული შემართებით, რამეთუ შენ უკვე უმცირესი შეცდომის უფლებაც არა გაქვს, რამეთუ შენ უკვე სხვა გზით უნდა იარო, უფრო სწორი გზით. რამეთუ დღესდღეობით მცირერიცხოვანი ხარ და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე დამდგარხარ, შენ არ გაქვს უფლება დალხინებული ერის ცხოვრებით იცხოვრო, უპირველესად უნდა მიიღო ცნობად, რომ საქართველოში არ არსებობს საზოგადოების არც ერთი ფენა, არც ერთი კლასი - არსებობ შენ, ერთადერთი ქართველი ერი და კიდევნულარ განიკითხავ ნებსით თუ უნებრიეთ შენს ცოდვილ შვილებს, არამედ მიეც მათ ნება განწმედისა და შენს ჯანმრთელ ბარლევებში მართლად ცხოვრებისა. ნურარც სხვა ერებს განიკითხავ, რომელთაც შენთვის ავად უმზერია, უღალატნია, ან ყურად არ მიუღიხარ, არამედ მიეც მათ ნება იგრძნონ შენი სულის ბრწყინვალება მსოფლიოში და აღივსონ შენდამი მოწიწებით, მათი ეროვნული სინდისის ქენჯნითა და სინანულით და იყვნენ კეთილად შენდამი, რამეთუ გინდა არ გინდა, მაინც მათ გვერდით მოგიწევს ცხოვრება, რადგან ჩვენს პლანეტაზე სხვა ქართული მიწა არ არსებობს.

მაშ ასე, წინ დამოუკიდებელი საქართველოსაკენ!

საქართველოს შვილი
1989 წელი, აპრილი



ირაკლი ბათიაშვილი კვლავ მწყობრშია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის

განცხადება

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი და მასში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია მიესალმება რუმინელი ხალხის ბრძოლას პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის და მთელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 1989 წლის 22 დეკემბერს ბუქარესტში დატრიალებული მშვიდობიანი დემონსტრანტების მასობრივი დახვრეტის გამო!

ძმებო რუმინელებო! დიდია თქვენი მწუხარება და გულისტკივილი, რომელსაც მთელი არსებით იზიარებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჩაუშესკუს სისხლიანმა რეჟიმმა, რომელსაც აღსასრულის დღე დაუდგა 1989 წლის 22 დეკემბერს, რუმინელი ერის და მთელი პროგრესული კაცობრიობის სამარადჟამო წყევლა დაიმსახურა, მარიონეტულ და მოღალატურ მმართველობას სოციალისტური რუმინეთისას ისტორია სანაგვე ყუთში გადაუძახებს, რათა კაცობრიობის განახლებულ ისტორიაში სხვა თავისუფალ ქვეყნებთან ერთად ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს თავისუფალი და დემოკრატიული რუმინეთიც.

რუსეთის მოდერნიზებული იმპერია, ეგრეთ წოდებული სსრ კავშირი სათავეა იმ ბოროტებისა, რომელმაც იარაღის ძალით ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში გააერთიანა თავის მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და რომელიც მილიონობით ადამიანს მრავალ და მრავალ უბედურებას განაცდევინებს. ბუქარესტის ქუჩებში დატრიალებული ტრაგედია უშუალო შედეგია ამ იმპერიის არსებობის, რადგან რომ არა კრემლი და მისი შეიარაღებული ძალები, ვერც რუმინეთში და ვერც აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში მსგავსი სამარცხვინო რეჟიმები ვერ გაიჭაჭანებდა. ამიტომ უნდა დაიშალოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ამიტომ უნდა დაემხოს რუსეთის მოდერნიზებული იმპერია!

თავისუფლებისათვის რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ერი მხარს უჭერს რუმინეთის პოლიტიკურ მოძრაობას და უსურვებს გამარჯვებას მტერთან ბრძოლაში

ფარავდეს და წყალობდეს ღმერთი უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს!

საქართველოს ჰელსინკის კავშირი
ზვიად გამსახურდია
ავთო რჩხილაძე
თემურ ქორიძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
გიორგი ჭანტურია
ირინა სარიშვილი
ირაკლი ქადაგიშვილი

საქართველოს დემოკრატიული პარტია
ვაჟა მთავრიშვილი
ვახტანგ ტალახაძე
თენგიზ შარმახაშვილი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
ირაკლი წერეთელი
ირაკლი ბათიაშვილი
თეიმურაზ სუმბათაშვილი
თორნიკე ფიფია

წმინდა ილია მართლის საზოგადოება
თედო პაატაშვილი
გურამ გოგბაიძე
ვაჟა ადამია

საქართველოს მონარქისტული პარტია
თემურ ჟორჟოლიანი
გია ხონელიძე
ზვიად ბოკუჩავა

დიქტატორის აღსასრული

ყოველმა ჩვენთაგანმა შესანიშნავად იცის იმ ხუთი დღისა და ღამის შესახებ, რომლის დროსაც რუმინელმა ხალხმა ათეულ-ათასობით თანამემამულის სიცოცხლის ფასად შესძლო ჩაუშესკუს დიქტატურის დამხობა და თავისუფლების მოპოვება. რუმინეთში დამთავრდა "ჩაუშესკუს ოქროს ხანა". არავითარ წინასწარ მომზადებულ შეთქმულებას ადგილი არ ჰქონია, რევოლუციური აჯანყება სპონტანურად მოხდა, ტიმოშიარაში მშვიდობიან დემონსტრანტთა დაღვრილმა სისხლმა აღაგზნო რუმინელი ხალხი საბრძოლველად. კომპარტიამ ქვეყანაში პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა, ძალაუფლება ხელში აიღო ეროვნული ხსნის ფრონტმა, რომელიც არ არის პოლიტიკური პარტია, მაგრამ აპრილის არჩევნებში იგი გამოიყენებს მთელს თავის პოლიტიკურ გავლენას, ოპონენტებთან ბრძოლაში. ხსნის ფრონტმა დეკრეტით დააკანონა პოლიტიკური პარტიების შექმნა და საქმიანობა. ქვეყანაში უკვე შეიქმნა დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-გლეხური პარტიები.

ფრონტის საბჭომ მიიღო აგრეთვე კანონი, რომელიც სამშობლოში დაბრუნების ნებას რთავს ყოველ რუმინელს, რომელიც ასე თუ ისე ეწინააღმდეგებოდა ჩაუშესკუს რეჟიმს.

საინტერესოა, რომ საბჭოთა საინფორმაციო სააგენტოებმა ლანძღვა-გინებით აიკლეს ჩაუშესკუ და მისი რეჟიმი და ეს მაშინ, როდესაც არასოდეს მის შესახებ კრინტიც კი არ დაუძრავთ. სულ მოკლე პერიოდის წინ კი დიდი ზარ-ზეიმით მიულოცეს ნიკოლაე ჩაუშესკუს ქვეყნის პრეზიდენტად ხელახლა არჩევა. დიახ, საბჭოთა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ გააკეთეს აღმოჩენა, რომლის მსგავსიც, თვით ქრისტეფორე კოლუმბსაც კი შეშურდებოდა.

26 დეკემბერს ღამით რუმინეთის ტელევიზიამ აჩვენა ნიკოლაე და ელენე ჩაუშესკუების სასამართლო პროცესის ვიდეოჩანაწერი. ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ ამ ჩანაწერის სტენოგრაფიულ ანგარიშს, რომელიც გამოაქვეყნა ფრანს პრესის სააგენტომ. ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს ჩვენს მკითხველებს.

პირველი სიუჟეტი. ჩაუშესკუები შემოდიან ოთახში, რომელშიც იმყოფებიან ჯარისკაცი და ექიმი. ექიმი მიმართავს ნიკოლაე ჩაუშესკუს: "ახლა მე თქვენ გაგიზომავთ არტერიულ წნევას". /ისმის ტელეფონის ზარი/ ექიმი /უზომავს წნევას/: "სამოცი, სამოცდაათი... თქვენ შეგიძლიათ რაიმე თქვათ თქვენი ჯანმრთელობის შესახებ?" პასუხი არ ისმის.

ექიმი მიდის ელენე ჩაუშესკუსთან: "მიპასუხეთ ავად ხომ არა ხართ, ხომ არ გჭირდებათ სამედიცინო დახმარება?" ელენე: "მე არაფერი არ მჭირდება".

შემდეგი სცენა – ნიკოლაე და ელენე ჩაუშესკუები სხედან მაგიდასთან. ისმის კაცის ხმა, რომელსაც გადაცემის მსვლელობისას არ აჩვენებენ. ეჭვგარეშეა ეს სამხედრო ტრიბუნალის ბრალმდებელია: "თქვენ გაქვთ საშუალება თქვათ, ხალხის სახელით რატომ ჩაიდინეთ ამდენი ბოროტება. დაცვას არაფერი არ აქვს სათქმელი?"

გაისმის კიდევ ვიღაცის ხმა: "ნიკოლაე ჩაუშესკუ ადექით, ეს ტრიბუნალია".

ბრალმდებლის ხმა: "25 წლის განმავლობაში თქვენ აბუჩად იგდებდით ხალხს, 25 წლის განმავლობაში შენ შეგეძლო მხოლოდ ერთი – ლაპარაკი".

ნ.ჩაუშესკუ: მე არ ვცნობ არავითარ ტრიბუნალს, მე ვცნობ მხოლოდ დიად ეროვნულ კრებას. ეს სახელმწიფო გადატრიალებაა.

ბრალმდებელი: ჩვენ თქვენ გასამართლებთ კონსტიტუციის თანახმად. ახლა იმის დრო არ არის, რომ ერთმანეთს ჩავუტაროთ გაკვეთილები. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ და ვიცნობთ კანონებს.

ნ.ჩაუშესკუ: მე არ ვუპასუხებ თქვენს არცერთ კითხვას.

ბრალმდებელი: ბრალდებულს და მის მეუღლეს ჰქონდათ ძვირფასი ტუალეტები, ისინი აწყობდნენ დიდ მიღებებს, ხოლო ხალხს გააჩნდა მხოლოდ 200 გრამი ძეხვი – და ისიც, რომ მიეღო, უნდა წარედგინა პირადობის მოწმობა. შენ გაალატაკე ხალხი და დღეს ამას უარყოფ. მას არ უნდა ლაპარაკი, ნაძირალა. ჩვენ ყველაფერი ვიცით. ბატონო მართლმსაჯულების წარმომადგენლებო, ბატონო თავმჯდომარევ, პატივცემულო ტრიბუნალო! ჩვენ გავასამართლებთ ნიკოლაე და ელენე ჩაუშესკუებს, რომლებმაც ჩაიდინეს ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი. იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც მან ჩაიდინა და იმ მსხვერპლისათვის /რომლებიც დაიღუპნენ მისი მიზეზით/ მე მოვითხოვ მათ სიკვდილით დასჯას.

შემდეგ მთავრდება საბრალდებო აქტი.

ბრალმდებელი: ბრალდებულო ჩაუშესკუ, ადექით /ჩაუშესკუ არ დგება/. შენ მოისმინე ბრალდება?

ჩაუშესკუ: მე პასუხს ვაგებ მხოლოდ დიადი ეროვნული კრების წინაშე, მე არ ვცნობ ამ ბრალდებებს. მე მინდა ვილაპარაკო მხოლოდ დიადი კრების წინაშე.

ბრალმდებელი სთხოვს მდივანს შეიტანოს ეს ოქმში.

ნ.ჩაუშესკუ: მე ხელს არაფერს არ მოვაწერ.

ბრალმდებელი: თქვენ იცით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. არ გვყოფნის მედიკამენტები, პროდუქტები, ელექტროენერგია. სახლებში არ არის გათბობა. ვინ გასცა ბრძანება ჩაეტარებინათ გენოციდი ტიმოშიარაში? /სიჩუმე/.

ბრალმდებელი მდივანს: აღნიშნეთ, იგი არ პასუხობს ამ კითხვას.

ბრალმდებელი: ვინ გასცა ბრძანება ესროლათ ხალხისათვის ბუქარესტში? ახლაც კი ესვრიან უდანაშაულო ადამიანებს. ვინ არიან ის ფანატიკოსები, რომლებიც ისვრიან?

ნ.ჩაუშესკუ: მე არ გიპასუხებთ. სასახლის მოედანზე არ ისროდნენ, არავინ არ მოუკლავთ.

ბრალმდებელი: დღეისათვის სხვადასხვა ქალაქებში მოკლულია 64 ათასი ადამიანი. შენ მიიყვანე ხალხი სიღატაკემდე. მრავალმა განათლებულმა ადამიანმა, მეცნიერმა დატოვა ქვეყანა, რომ გადაერჩინა თავი შენგან. ვინ არიან ის დაქირავებული უცხოელები, რომლებიც ისვრიან? ვინ მოიწვია ისინი აქ? /სიჩუმე/

ელენე ჩაუშესკუ: ეს პროვოკაციაა.

ნ.ჩაუშესკუ: მე არ გიპასუხებთ ამ კითხვაზე.

ბრალმდებელი: ქალბატონი უფრო მოსაუბრეა.

ე.ჩაუშესკუ: დიახ.

ბრალმდებელი: თქვენს წინაშე უსწავლელი მეცნიერია, რომელმაც არ იცოდა არც ლაპარაკი და არც კითხვა.

ე.ჩაუშესკუ: მე ვაძლევ ჩემს თავს კითხვას, თუ რას იტყვიან ჩემი კოლეგები /ქვეყნის ინტელიგენცია/, როდესაც ყოველივე ამას გაიგებენ?

ბრალმდებელი: რა მიზეზები გიშლით ხელს რათა გვიპასუხოთ?

ნ.ჩაუშესკუ: მე პასუხს გავცემ მხოლოდ დიად ეროვნულ კრებას და მუშათა კლასს /ორივენი ლაპარაკობენ ნახევარი ხმით/ მე ვაღიარებ მხოლოდ მუშათა კლასს სახელმწიფო გადატრიალების ავტორების წინაშე მე კითხვებს პასუხს არ გავცემ. ეს თქვენ მოიწვიეთ დაქირავებული უცხოელები. ჩვენ ძალაუფლების სხვა ორგანო გვაქვს. არავინ ამ ქვეყანაში თქვენ არ გცნობთ და ამ პრინციპით ხალხი განაგრძობს ბრძოლას.

შემდგომ ნ.ჩაუშესკუ უცხო ქვეყნების ჯაშუშურ სამსახურებს ბრალს სდებს რუმინეთის შინა საქმეებში ჩარევაში, მდგომარეობის დესტაბილიზაციაში, რათა ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის მიეყენებინათ ზიანი.

ბრალმდებელი: რისთვის იბრძვის ხალხი?

ნ.ჩაუშესკუ: ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის.

ბრალმდებელი: შენ სთქვი, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს უცხოელმა აგენტებმა?

ნ.ჩაუშესკუ: მე, უბრალო მოქალაქეს მაქვს იმის იმედი, რომ მოვა ის დღე, როცა შენ იტყვი სიმართლეს...

ბრალმდებელი: შენ იცი, რომ სასაცილო ხარ ისევე, როგორც ქალბატონი ყველა თქვენი თანამდებობებით სახელმწიფოში და მთავრობაში?

ნ. და ე.ჩაუშესკუები: დიახ.

ბრალმდებელი: შენ იცი, რომ მთავრობა სასაცილოა?

ნ.ჩაუშესკუ: შენ უნდა პატივი სცე კანონიერებას. მე ვარ პრეზიდენტი და სამხედრო მხედართმთავარი. მე არაფრისკენ არ მივილტვი, მე უბრალო მოქალაქე ვარ.

ბრალმდებელი: უბრალო მოქალაქე თუ პრეზიდენტი?

ნ.ჩაუშესკუ: პრეზიდენტი და უმაღლესი მხედართმთავარი. მე ვუპასუხებ მხოლოდ დიად ეროვნულ კრებას.

ე.ჩაუშესკუ: რა ფარსია, მათ ვინც მოახდინეს გადატრიალება...

ბრალმდებელი: რატომ ამცირებდი ხალხს? გლეხები, რომლებსაც მოჰყავდათ პური, ჩამოდიოდნენ ქალაქში მის საყიდლად, რატომ მიიყვანე ხალხი შიმშილამდე?

ნ.ჩაუშესკუ: მე არ გიპასუხებთ, მაგრამ მე მინდა ვთქვა, როგორც უბრალო მოქალაქემ, რომ ხალხს გააჩნდა 200 კილოგრამი მარცვალი ადამიანზე და არა ოჯახზე.

ბრალმდებელი: ეს არასწორია, ეს – ტყუილია.

ნ.ჩაუშესკუ: რა?

ბრალმდებელი: ქაღალდზე შენ ერთს წერდი, მაგრამ სინამდვილე სხვანაირი იყო. შენ არასოდეს ფიქრობდი ამაზე? სოფლების დანგრევის გეგმა? შენ არ გიფიქრია ამაზე?

დღიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.ჩაუშესკუ: არასოდეს სოფლებში არ ყოფილა ამდენი სიმდიდრე როგორც დღეს. მე ავაშენე საავადმყოფოები, სკოლები, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის ასეთი კარგი პირობები.

გრაღმდებელი: ბოლო კითხვა. მე ვნახე თქვენი ქალიშვილის ზოიას ვილა, მას ჰქონდა ოქროს სასწორი, რომლებზეც სწონიდა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ხორცს ძაღლებისათვის.

ე.ჩაუშესკუ: რომელი ვილა? ის ცხოვრობს ბინაში, როგორც ყველა. მას არაფერი არა აქვს. იგი ცხოვრობს ისე როგორც ყველა... დაუჯერებელია, რა სირცხვილია!

გრაღმდებელი: დაე ჩაუშესკუმ მოგვითხროს თავის ანგარიშებზე, რომლებიც მას გააჩნია შვეიცარიის ბანკში.

ე.ჩაუშესკუ: მტკიცებანი, მტკიცებანი, მტკიცებანი.

ნ.ჩაუშესკუ: არ არსებობს არავითარი ანგარიშები, თქვენ პროვოკატორი ხართ.

გრაღმდებელი: კარგი, კარგი, არ არის არავითარი ანგარიშები, მაგრამ ისინი რომ არსებობდნენ თანახმა ხართ თუ არა თქვენ, რომ ისინი გადმოირიცხოს რუმინეთის სახელმწიფოში?

ნ.ჩაუშესკუ: ეს პროვოკაციაა.

გრაღმდებელი: შენ ხელს აწერ განცხადებას?

ნ.ჩაუშესკუ: მე არ ვაკეთებ არავითარ განცხადებას, ტრიბუნალი არაკანონიერია, მე ვცნობ მხოლოდ დიად კრებას. თქვენ მოახდინეთ სახელმწიფო გადატრიალება, მოვა დღე როდესაც თქვენ პასუხს აგებთ ხალხის წინაშე.

გრაღმდებელი /მიმართავს ე.ჩაუშესკუს/: შეიძლება შენ უფრო მეტს იტყვი? რა შეგიძლია სთქვა № 2 კაბინეტზე? /ლაპარაკია ე.ჩაუშესკუს კაბინეტზე/ რა იცი შენ ტიმოშიარის გენოციდზე?

ე.ჩაუშესკუ: არა.

LA BARBARIE



გრაღმდებელი: შენ საქმიანობდი მხოლოდ მეცნიერულ სფეროში /ელენე ჩაუშესკუს ეკავა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტი, ჰყავდა ქიმიკოს-მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც მისთვის სწერდნენ სამეცნიერო შრომებს/

ნ.ჩაუშესკუ: არსებობს საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ნა[illegible]ები.

ე.ჩაუშესკუ: მე რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ვარ.

გრაღმდებელი: რა იცით ტიმოშიარის შესახებ?

ე.ჩაუშესკუ: მე არცერთ კითხვას არ ვუპასუხებ /როგორც მისი მეუღლე ისიც ძაღიან ხმადაბლა ლაპარაკობს, საუბრისას იყენებენ პროტესტის გამომხატველ ჟესტებს/

გრაღმდებელი: იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც მოკლეს ბუქარესტში თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ? ტერორისტები მიეკუთვნებოდნენ "სეკურიტატეს"?*

/*"სეკურიტატე" - საიდუმლო პოლიცია. რედ/

ე.ჩაუშესკუ: არავითარი ტრიბუნალი. მე ხელს არაფერს არ ვაწერ. 14 წლიდან მე ვიბრძოდი ხალხისათვის და ეს ჩვენი ხალხია.

კადრს იქით ხმა აცხადებს, რომ სასამართლო გადის მოსათათბირებლად.

სურათი წყდება, შემდეგ კი კვლავ გვესმის გრაღმდებელის ხმა: ჩვენ ვთვლით, რომ გრაღდებულები დამნაშავენი არიან სისხლის სამართლის კოდექსის 162, 163, 165 და 357 მუხლებით. საგანგებო სამხედრო ტრიბუნალს დღეს, 25 დეკემბერს გამოაქვს შემდეგი განაჩენი: მთელი ქონების კონფისკაცია და სიკვდილით დასჯა.

ამის შემდეგ სიტყვით გამოდის ადვოკატი, რომელიც ასევე კადრს იქით რჩება: როგორც ადვოკატი მე შევასრულებ ჩემს ვალს, ისევე როგორც ამას გავაკეთებდი ნებისმიერი ადამიანის მიმართ. ეროვნული ხსნის საბჭომ მიიღო ზომები მთავრობისა და ხელმძღვანელი ორგანოებისათვის ძალაუფლების ჩამოსართმევად. აქედან გამომდინარე, მე როგორც ადვოკატი ვთვლი, რომ ყველა იურიდიული ფორმა ორივე გრაღდებულის სამართალში მისაცემად დაცული იყო. დათანხმდებიან ისინი თუ არა ხელისმოწერაზე, არსებობს მხილებანი და მათი გასამართლება შესაძლებელია... მე ვაცხადებ, რომ ისინი დამნაშავენი არიან. მიუხედავად ამისა მე ვთხოვ ტრიბუნალს, რომ გამოტანილი განაჩენი არ იყოს ანგარიშსწორება...

შემდგომ ჩამოითვლება გრაღდებების პუნქტები. ადვოკატი არცერთხელ არ ეწინააღმდეგება.

გრაღმდებელი: ძაღიან ძნელია მიიღო გადაწყვეტილება, იმიტომ, რომ წარსდგნენ რა მართლმსაჯულების წინაშე, გრაღდებულებმა უარი განაცხადეს ელიარებინათ გენოციდი - არა მარტო ტიმოშიარაში და ბუქარესტში, არამედ მთელი თავიანთი 25 წლიანი დანაშაულებრივი დიქტატის პერიოდში. მათი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ხალხი შიმშილობდა, არ ჰქონდა გათბობა და ელექტროენერგია, უდანაშაულო ბავშვები გასრისეს ტანკებით. თქვენ ჩააცვით ოფიცრებს "სეკურიტატეს" სამხედრო ფორმა, რათა ხალხი განგეწყოთ არმიის წინააღმდეგ. თქვენ, რომ დაგეხოცათ თქვენნაირი მოხუცები... თქვენ ხომ მათ საავადმყოფოებში პირიდან აძრობდით ჟანგბადის მილებს, თქვენ აფეთქებდით საწყობებს, სადაც გადასასხმელი სისხლი ინახებოდა /ნ.ჩაუშესკუ ლიმეგა/. თქვენ აცხადებთ, რომ ეროვნული ხსნის საბჭო არაკანონიერია, არადა 1947 წელს, როდესაც ხელისუფლება ჩამოერთვა რუმინეთის მეფე მიხაის, ზუსტად იგივე სიტუაცია იყო, მაგრამ მეფეს მეტი ღირსება გააჩნდა, ვიდრე თქვენ... თქვენ გქონდათ შესაძლებლობა გეთხოვათ პოლიტიკური თავშესაფარი და ამასთანავე შეგენარჩუნებინათ თქვენი ანგარიშები საზღვარგარეთის ბანკებში /ჩაუშესკუ იცინის/.

ე.ჩაუშესკუ: დიახ-დიახ.

გრაღმდებელი: ახლა კი თქვენ დასცინით ტრიბუნალს /ნ.ჩაუშესკუ გამომწვევი გამომეტყველებით დასცქერის საათს/.
იგი არ ემორჩილება უმაღლეს მთავარსარდლობას?

ნ.ჩაუშესკუ: ტიმოშიარას გენოციდის შესახებ /მას უნდა უპასუხოს, მაგრამ გრაღმდებელი აწყვეტინებს/.

გრაღმდებელი: თქვენთან საუბარი მე უკვე დავამთავრე, ახლა მინდა გამოვკითხო ე.ჩაუშესკუ. როგორ მოკვდა გენერალი მილია /იგი მოკლეს იმ დღეებში, როდესაც მიმდინარეობდა ტიმოშიარას ამბოხება, არსებობს ვერსია, რომ მან უარი განაცხადა ჩაეხშო გამოსვლები/.

ე.ჩაუშესკუ: კითხეთ ექიმსა და ხალხს.

ნ.ჩაუშესკუ: მე ჩავატარებ გამოძიებას.

გრაღმდებელი: რატომ დაადანაშაულე მილია მოღალატეობაში და რატომ თქვი, რომ მან მოიკლა თავი რათა გაქცეოდა შურისგებას?

ნ.ჩაუშესკუ: მილია მოღალატე იყო. იგი მარტო წავიდა და გადაწყვიტა თავი მოეკლა. ოფიცრებმა მომახსენეს, რომ მან არ შეასრულა ბრძანებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ წესრიგის დამყარებას.

გრაღმდებელი: ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ. თქვენ ორივენი ხომ ჭკვიანი ხალხი ხართ. როგორი ფულით გინაზღაურებდნენ თქვენს საზღვარგარეთულ პუბლიკაციებს?

ე.ჩაუშესკუ: ჰმ, რა თქმა უნდა...

ნ.ჩაუშესკუ: რატომ გვიღალატა მილიამ?

გრაღმდებელი: ელენე ჩაუშესკუ, შენ გონება წესრიგში გაქვს?

ე.ჩაუშესკუ; ეს საზიზღარი პროვოკაციაა. თქვენ სირცხვილი არა გაქვთ.

გრაღმდებელი: მე ამ კითხვას იმიტომ გაძლევთ, რომ თუ თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ, თქვენ გაქვთ შანსი. მე ვაკეთებ ბოლო ცდას, დამისვით კითხვები.

ე.ჩაუშესკუ მეუღლეს: არაფერი არ ილაპარაკო, შენ ხედავ მხოლოდ...

ნ.ჩაუშესკუ: მე არ ვცნობ თავს დამარცხებულად.

გრაღმდებელი: რამდენი ხანი უნდა მოგითმინოთ თქვენ ხალხმა? ყოველდღე იმის შიში უნდა გქონდეს, რომ არ დაგიჭირონ, უნდა გეშინოდეს, რომ არ გაგიკეთონ ნარკოტიკები და არ წაგიყვანონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ე.ჩაუშესკუ: დაე ჩემმა კოლეგებმა სთქვან, სიმართლეა ეს თუ არა.

გრაღმდებელი: შენი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ტიმოშიარის შემდეგ შენ შეკრიბე ბრბო, შენ მიიღე სავალალო გადაწყვეტილება.

ე.ჩაუშესკუ: ისინი ამბობენ, რომ დახოცეს ბავშვები. ეს მართალი არ არის.

გრაღმდებელი: გრაღდებულო ნიკოლაე ჩაუშესკუ...

ნ.ჩაუშესკუ: მე გრაღდებული არა ვარ, მე რუმინეთის პრეზიდენტი და შეიარაღებული ძაღების უმაღლესი მთავარსარდალი ვარ. მე მინდა ვუპასუხო მხოლოდ დიად ეროვნულ კრებას.

იგი გადაიხარა მეუღლისკენ: შენ რა თქვი?

მიმართავს გრაღმდებელს: შენ ღალატობ ხალხს, შენ ანგრევ რუმინეთის დამოუკიდებლობას.

გრაღმდებელი: ჩვენ შენთან კამათს არ ვაპირებთ.

ამ დროს ტრიბუნალის წევრები დგებიან.

ე.ჩაუშესკუ: არა ძვირფასო, ჩვენ არ ავდგებით...

გრაღმდებელი: საგანგებო სამხედრო ტრიბუნალმა ერთხმად მიუსაჯა გრაღდებულებს ქონების კონფისკაცია და სიკვდილით დასჯა...

ნ.ჩაუშესკუ: მე არ ვცნობ...

გრაღმდებელი: გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

»FRANCE PRESS« მოამზადა ვაჟა ქუნთელიამ /სედ/

ინტერვიუ

იასონ ონიანი: ღმერთო მაღალო, შენ მომასწარი დამოუკიდებელ საქართველოს!

მრავალი ქართველის სიცოცხლე იმსხვერპლა ბოლშევიკურმა აგრესიამ საქართველოში, მრავალ ჭეშმარიტ მამულიშვილს წაართვა მან სახლ-კარი, მოსწყვიტა ოჯახს, სამშობლოს, ახლობლებს. ზოგი მათგანი კომუნისტებმა დახვრიტეს, ზოგმა ემიგრაციაში გაქცევით უშველა თავს, ზოგ მათგანს კი შორეულ ციმბირში ამოხდა სული შიმშილის, სიცივის და ავადმყოფობის შედეგად. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაბრუნდა უკან სამშობლოში. ერთ-ერთი მათგანია იასონ ონიანი, ლენტეხელი მშრომელი კაცი, რომელიც პოლიტიკაში არასოდეს გარეულა და რომლის ერთადერთ დანაშაულს წარმოადგენდა ის, რომ იგი დედითა და მამით ობოლი შეიფარა და გამოზარდა მისმა ბიძაშვილმა მალაქიამ, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ეროვნული გვარდიის ადგილობრივი რაზმის უფროსი იყო. ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ იასონ ონიანთან, კაცთან, რომელმაც ამდენი სიმწარე გადაიტანა იმ ავადსახსენებელი რეპრესიების წლებში.

კითხვა: ბატონო იასონ, თუ შეიძლება მოგვიყევით თქვენი დაპატიმრების ამბავი

1937 წელს დამიჭირეს და მომათავსეს ლენტეხის ციხეში, სადაც ჩემთან ერთად 300 პოლიტპატიმარი მოიყვანეს. შემდეგ გადამიყვანეს ქუთაისის ციხეში, სადაც 12 დღე-ღამის განმავლობაში მაწამებდნენ, გამომძიებლები ისეთ კითხვებს მისვამდნენ, რაზედაც უბრალოდ წარმოდგენა არ მქონდა. მათ ძირითადად აინტერესებდათ თუ რომელ ფარულ კრებებში მქონდა მიღებული მონაწილეობა 1924 წელს, მე მაშინ 15 წლისა ვიყავი და არავითარ პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ვეწეოდი. ბევრი ვერ უძლებდა წამებას და ხელს აწერდა ბრალდებას, ზოგი იძახოდა ნეტა რაიმე ვიცოდე თორემ როგორ არ ვიტყოდიო. ქუთაისის ციხეში სამი კვირა დავყავი, რის შემდეგაც 20 კაცი თბილისის გუბერნსკის ციხეში გადაგვიყვანეს. გუბერნსკში მოგვილოცეს დახვრეტის გაუქმება და მისი შეცვლა 25 წლით, მოგვიანებით საზარელი ამბავი შევიტყვეთ, როდესაც ბოლშევიკ ასლანიკაშვილს წინასწარ გაეგო დახვრეტის გაუქმების ამბავი ქუთაისის ციხეში ყველა პატიმარი საკუთარი ხელით დაუხვრიტავს, შემდეგ ჩვენი ძებნა დაეწყო, მაგრამ საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ჩვენ უკვე განგებას გადარჩენილი ვყავდით.

თბილისში გადაყვანის მე-9 დღეს დაიწყეს ხუთ-ხუთი კაცის გაყვანა ცალკე ოთახში, სადაც ხელს გვაწერინებდნენ ბრალდებებზე. იმისდამიუხედავად, რომ მე მასზე ხელი არ მომიწერია, მაინც მომისაჯეს 10 წლის პატიმრობა შრომით კოლონიაში მოხდით. როცა ვკითხე ვინ მომისაჯა-მეთქი - მიპასუხეს - ТРОЙКА НКВД.

კითხვა: სად მოიხადეთ სასჯელი?

ეეჰ, სად არ ვიყავი, ჯერ სვერდლოვსკში გამაგზავნეს, კარელია ფინეთის ომი რომ დაიწყო იქეთ გვიკრეს თავი, რკინიგზის საშენებლად, შემდგომ მოვიარე მურმანსკის, არხანგელსკის, კვლავ სვერდლოვსკისა და ნოვოსიბირსკის ციხეები.

კითხვა: რა სამუშაოებს გასრულებინებდნენ?

ყველაფერ მმიმეს, დაახლოებით -50^{0} ყინვაში გვაჭრევინებდნენ ტყეში ხეებს, გვაყვანინებდნენ რკინიგზას, თუ სამუშაო გეგმას ვერ შევასრულებდით, საკვებს /ბალანდას/ არ მოგვცემდნენ, რომელიც ისედაც დღეში ერთხელ გვეძლეოდა.

კითხვა: ბევრი ქართველი დაიღუპა გადასახლებაში?

ბევრი, ძალიან ბევრი, ზოგი უჭმელობამ იმსხვერპლა, ზოგი სიცივემ, ზოგი დიზენტერიამ. ვინ მოთვლის რამდენჯერ წამისვენებია მიცვალებულები მინდორში, სადაც ბრიგადები საფლავებს თხრიდნენ. მიცვალებულებს დროგზე გვიდებდნენ ყუთებში ჩადებულებს, ტანზე მხოლოდ საცვლებს აცმევდნენ. მიცვალებულისათვის კუბო კი არა ყუთებიც ენანებოდათ იმ მართლა ულმერთოებს, პირდაპირ ისე მარხავდნენ... ხშირად დღეში სამი გზობა გამიკეთებია.

კითხვა: როდის გაგანთავისუფლეს?

9 წელი რომ გავიდა ჩემი დაპატიმრებიდან, გამომიძახეს და განმიცხადეს: გამართლებული ხარ და განთავისუფლებთო, მომცეს საბუთი, რომელშიც ეწერა СНЯТЬ СУДИМОСТЬ. ამგვარად ჩემი ახალგაზრდობის 9 წელი სულ ტყუილად, არაფრის გულისთვის გამატარებინეს შორეული რუსეთის ციხეებში.

კითხვა: უკან რომ დაბრუნდით შევიწროებას თუ განიცდიდით?

თუმცა ყველაფერი დამიბრუნეს, მაგრამ ხშირად მეუბნებოდა ჩემი ბრიგადირი თუ სამუშაოზე არ გამოხვალ, ან წესიერად არ იმუშავებ უკან გაგაბრუნებო, ასეთი მრავალი ფაქტის მოყვანა შემიძლია.

კითხვა: 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის შესახებ რას გვეტყოდით?

დიდი სიხარულითა და ზარ-ზეიმით შეხვდა ხალხი დამოუკიდებლობის ამბავს. ჟორდანიას მთავრობამ გლეხობას დაურიგა მიწები, დაუშვა კერძო საკუთრება, დემოკრატია, ამიტომ ხალხში მენშევიკებმა სიმპატიები დაიმსახურეს. ოღონდ სახელმწიფოში დოვლათი შემოგეტანა და ყველაფრის უფლებას გაძლევდნენ, შენს გემოზე შეგეძლო მიწა დაგემუშავებინა, შეგეძლო ინდივიდუალურად გეწარმოებინა პროდუქცია და გევაჭრა.

კითხვა: როგორი იყო დამოუკიდებლობის წლებში ეკონომიკური სიტუაცია?

გადასარევი, იმიტომ, რომ საქონლის ყოლის უფლება გვქონდა, დაშვებული იყო კერძო საკუთრება. მოვიდნენ კომუნისტები და დაღუპეს ქვეყანა. სანამ კოლექტივიზაცია დაიწყებოდა კიდევ არა გვიშავდა რა, მერე კი საბოლოოდ წახდა ჩვენი საქმე. გლეხს როცა მიწა და საქონელი საკუთრებაში აქვს შრომაც უხარია, რადგან შემდგომ თვითონ მიიღებს თავის ნაშრომ-ნაოფლარით მოწეულს. კოლმეურნეობებმა და მეურნეობებმა გააქციეს სოფლიდან ხალხი. ეს არის მიგრაციის მთავარი და ძირითადი მიზეზი.

კითხვა: რა მოუტანა თქვენის აზრით 1921 წლის თებერვლის აგრესიამ საქართველოს?

მიწების ჩამორთმევა და ხელოვნურ ავტონომიებად დანაწილება. წაგვართვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. გლეხობას ყველაფერი ჩამოართვეს და ბოლშევიკებმა მიითვისეს. მრავალი ჭეშმარიტი პატრიოტი დახვრიტეს, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს, დაგვაქციეს და გაგვაღატაკეს. ააშენეს უშველებელი ჰესები, გაგვიჩეხეს ტყეები, ამხელა კაცი ვარ და ამისთანა ზვავები ჩემს დღეში არც მინახავს და არც გამიგონია წინაპრებისაგან, რომ როდისმე ყოფილიყოს სვანეთში.

რასაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ კომუნისტები, ერთხელ ჩემი თანასოფლელი ქალი ინდაურებს აპურებდა და ამ დროს ჩამოიარა ბოლშევიკმა ბარამმა, აუხირდა ქალს საჭმელი ხალხს არა აქვს და შენ ინდაურებს აჭმევო. წაიყვანა სოფლის საბჭოში დასაბუთების გაფორმება დაუწყო დასაპატიმრებლად, ძლივს დაიხსნა მისმა ძმამ. მე 1924 წელს სახლ-კარი გადამიწვეს, 1937-ში კი ცხენი და უნაგირი ჩამომართვეს, ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ყველაფერი წაართვეს გლეხობას და თვითონ მითვისეს, ღალატმა მოიკიდა ყველგან ფეხი. ხალხს, რომლებსაც ერთი დღეც არ ჰქონდათ ნამუშევარი კოლექტივში, განაწილებისას ყოველთვის მშრომელებზე მეტი გაჰქონდათ, ნამდვილი ნაძირალები იყვნენ. ერთი ჰექტარი მიწა არ იყო მოხნული და ქაღალდზე დაწერდნენ ათი ჰექტარი დავამუშავეთო, ყოველ წელს იზრდებოდა დოვლათი, ოღონდ მხოლოდ ქაღალდზე.

კითხვა: სტალინზე რა გვეტყოდით?

აბა რა უნდა გითხრათ სამშობლოს გამყიდველზე.

კითხვა: ახლა ქართველი ხალხი ჩაბმულია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მოგწონთ თუ არა თქვენ ეს?

როგორ არ მომწონს, მაგრამ მეშინია ქართველები ისევ ღალატმა არ დაგვღუპოს. მერწმუნეთ ნაძირალები ახლა იმ ავადსახსენებელ წლებზე ნაკლებნი როდი არიან, მხოლოდ მომენტს ელოდებიან, ეს ის ხალხია თავის დღეში რომ არაფერი გაუკეთებიათ და მილიონები აქვთ ნაშოვნი.

კითხვა: რას უსურვებდით ქართველ ხალხს?

ბრძოლას, გამარჯვებას, ერთმანეთის სიყვარულს, ნდობას. ნდობა არ დაჰკარგოთ ურთიერთის, ერთმანეთის იმედით გეცხოვროთ. მე კი ერთ რამეს ვნატრულობ - ღმერთო მაღალო, შენ მომასწარი დამოუკიდებელ საქართველოს, ერთი დღე მაინც მაცოცხლე განთავისუფლებულ სამშობლოში, რათა ჩემს ნატანჯ თანამემამულეებს იმ ქვეყნად წავუღო სიხარულის ცნობა.

ესაუბრა ვაჟა ქუნთელია /სედკ/

შოთა გორგოძეს!

ჭკუით იყავი გორგოძევ,
სახელს ნუ ირცხვენ შოთაო,
გულ-ღვიძლს ნუ დაგიჭიანებს,
ჩვენი ჯანყი და შფოთვაო.
პინოჩეტობას ნუ იზამ,
რამე მოგდევდეს იმერლის,
ჩინ-მენდლებს თან არ გადაჰყვე,
დაგწყევლის ამერ-იმერი.
ცუდს ყველა შესძლებს თბილ სკამში,
სკამს ბევრი გადაჰყოლია,
ერთხელ თუ ჩაფიქრებულხარ,
რა წინაპარი გყოლია?!
შენც დაგესმევა წერტილი,
თუ არ ივარგებ კაცადა,
კარგი ჰქენ, კარგი დათესე,
ხალხს დარჩი კაი კაცადა.
რას მოგცემს მგლებთან ხორხოცი,
ან სამსახური პილატეს,
მონის ბორკილში სიცოცხლეს,
ვინ ჭკუამყოფი ინატრებს?!
სხვისა ბუდეში კვერცხსა დებ,
გუგულს ნუ გევხარ შოთაო,
გულ-ღვიძლს ნუ დაგიჭიანებს,
ჩვენი ჯანყი და შფოთვაო.
ცოტა სულზედაც იფიქრე,
გულს სულ ნუ დაიჭიანებ,
კიდევ რაღაცით დარჩები,
ოსებს თუ დააჭკვიანებ!

ნაზი ერედველი
ცხინვალის რ-ნი

გაზეთ "დროების" რედაქცია თანამოაზრეებს გიწვევთ სათანამშრომლოდ.
თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით: 37-51-36 კ. ჩოგოვაძე
99-37-52 ვ. ქუნთელია
39-09-40 გ. თვალავაძე

გაზეთის ნომერი მოამზადეს: კოტე ჩოგოვაძემ /სედკ/
ვაჟა ქუნთელიამ /სედკ/
გია თვალავაძემ /სედკ/
ფოტოები ლაშა ბარბაქაძისა

ფასი 1 მან.